ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4177533

ნომერი: AR1630669

თარიღი : 14.09.2018

გაცემის თარიღი : 19.09.2018

გაცნობის თარიღი : 19.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეთერ თანანაშვილი პ/ნ 01024023806
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 6/8 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე_18 მუხლის მე_10 პუნქტის თანახმად : განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე. ასევე ფოტომონტაჟზე დამატებით დაიტანეთ სარეკონსტრუქციო ფართები კონტურის სახით და გაბარიტული ზომების მითითებით.

განმარტეთ ვის აქვს სამუშაოების წარმოების ინტერესი. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია სს „სილქნეტი“ წარმოდგენილ იქნეს საპროექტო სამუშაოების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული) და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ფართის მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ასევე შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად, გაითვალისწინეთ, საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

ასეთ შემთხვევაში არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება ვინაიდან 02.08.2018 წლის მინდობილობის 21-ე პუნქტის თანახმად მინდობილმა პირმა მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებები წინასწარ უნდა შეათანხმოს სს „სილქნეტის“ გენერალურ დირექტორთან შესაბამისად ვინაიდან არ დგინდება აღნიშნული სამუშაოები შეთანხმებულია თუ არა აღნიშნულ პირთან მათ შორის მინდობილობის გაცემის საკითხი ეთერ თანანაშვილზე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან განახლებული განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ასევე შესაძლებელია გენერალური დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

რაც შეეხება საპროექტო ფართის მესაკუთრის თანხმობას იგი გაცემულია შპს „ჯეოსელის“ მიმართ თუმცა არ არისნ მისაღები, რადგან კომპანიას ჰყავს ორი დირექტორი,რომლებსაც ცალ-ცალკე წარმომადგენლობის უფლება არ აქვთ. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს განახლებული თანხმობა (თუ ხელშეკრულება შპს „ჯეოსელთან“ დადებული წინასწარ თანხმობას არ ითვალისწინებს) ან წესდების თანახმად უფლებამოსილი პირები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველი. იმ შემთხვევაში თუ შპს „ჯეოსელია“ დაინტერესებული სამუშაოებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისი უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად უფლებამოსილი პირი.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.